მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |

**შინაარსი:**

1) დავა და ჩხუბი, 2) ფელეტონი: დავიმსახურეთ დაცინვა? 3) ახალი ამბავი. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) უცხოეთი. 6) წერილი რედაქციის მიმართ. 7) დეპეშა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 22 კვირა 2 ივლისი 1906 წ. თბილისი № 22

ქართული წარმოდგენა „ფუნიკულერზე“

ვინც ბილეთს იყიდის წარმოდგენაზე იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ ფუნიკულერით

**კვირას, 2 ივლისს**

ახლად გამართულს ფუნიკულერის სცენაზე ქართულ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ბ-ნი **ვ. აბაშიძისა, ვ. გუნიასი, კ. შათირიშვილის, ა. კარგარეთლისა, კიკნაძის** და სხვათა მონაწილეობით.

**სიმე-სიმარი.**

მხიარული კომ. 3 მოქმდ. ვ. გუნიასი.

სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათ.

დაუკრავს მუსიკის ორკესტრი.

წარმოდგენა დაიწყობა საღამოს 8 საათზედ და გათავდება 11-ზე.

წარმოდგენის დროს ბუფეტში საჭმელ-სასმელის ფასი ერთი-ორად დაკლებულია.

ადგილების ფასი 40 კ.—1 მ. 50 კ.-მდე

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე.
ვ. გუნია.

**ვთხოვთ** თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

## დავა და ჩხუბი

„უდროოდ გარდაცვლილ“ მთავრობის მემკვიდრეების გულისათვის.

ლენინი არსად იყო და ეშმაკები გულის ალბობდენო. ჯერ გორემიკინ-სტიშინსკის სამინისტროს არ ამოხდენია თავისი ადამიანთა გვამებით და სისხლით გაუმაძღარი სული, რომ უკვე პარლამენტის გუშინდელ ბროლის და მურას მოუვიდათ დავა და ჩხუბი სამთავრობო ძვლის თაობაზე.

კადეტებს რომ კითხოთ, გეტყვიან, რომ დღეს მხოლოდ კადეტურ სამინისტროს შეუძლია იხსნას ქვეყანა გაჭირვებისაგან, რადგან მათ და მხოლოდ მათ ჰყავთ მინისტრობისთვის მომზადებული პირები, რადგან მხოლოდ ისინი არიან უმრავლესობის წარმომადგენელი, რადგან მხოლოდ მათი პარტია არის მჭიდრო და ერთგვარი. რადგან მხოლოდ მათ აქვთ მკაფიოდ გამოთქმული და გარკვეული პროგრამმა.

მეორე მხრით „შრომის ჯგუფი“ ამბობს, რომ კადეტების სამინისტრო უვარგისი იქმნება, რადგან ბრძოლა სამინისტროსთან, რომელიც არ არის პასუხის მგებელი, ბრძოლა ისეთ ადმინისტრაციასთან, რომელიც ძირიან-ფესვიანად გარყვნილია, არ შეუძლია კადეტებს იმიტომ, რომ მათ არ აქვთ რევოლიუციონური ბრძოლის უნარი; ამიტომ კადეტები უნდა მოქმედებდენ პარლამენტის მემარცხნეებზე დაყრდნობილი. ერთი სიტყვით „შრომის ჯგუფის“ წევრების აზრით კადეტები მხოლოდ ლაპარაკში არიან მარდი, ისე, როგორც მათი ამომრჩევლები, „ტრუდოვიკები“ კი უფრო რევოლიუციონერები მებრძოლი არიან (სად? პარლამენტში?) ისე, როგორც მისი ამომრჩევლები. ამას გარედ „ტრუდოვიკების“ აზრით კადეტების პარლამენტარური ფრაქცია არც ისე უძლეველ უმრავლესობას წარმოადგენენ და მაშასადამე, თუ სურთ გამარჯვებული გამოვიდნენ პარლამენტალურ ბრძოლიდგან (?), მაშინ უნდა შეადგინონ კოალიციონური სამინისტრო „ტრუდოვიკებთან“ ერთად.

კადეტები თავისას ამბობენ— „ტრუდოვიკები“ თავისას. ისინი ერთი მეორეს ეუბნებიან კუზიანი ხარო ჩვენ ორივე კუზიანებად მიგვაჩნია. ისინი ერთი მეორეს უკიჟინებ, უვარგისი ხარო. ჩვენ ორივე უვარგისად მიგვაჩნია. იმათ ერთი მეორე ბრუციანებათ მიაჩნიათ, ჩვენ ორივე ბრმებად მიგვაჩნია.

კადეტებს ჰგონიათ, რომ ქვეყნის მხსნელებათ ისინი მოავლინა თვით განგებამ. რომელი ქვეყნის? მგლეჯელების და მყვლეფელების? ამ გვარი როლის დაჩემება მეტია, რადგან ამ შემთხვევაში არავინ არ უყურებს მათ ამგვარ დანიშნულებას ეჭვის თვალით. აგრეთვე მართალია ისიც, რომ მინისტრებისთვის გამოსადეგი და მომზადებული კაცები მათში მრავალია, მრავალია მათში ჭეშმარიტი მოქალაქე, მაგრამ რაც შეეხება კაცებს ძლიერ ნაკლები უნდა იყოს, როგორც ჩანს ადამიანები სულ არ უნდა ჰყავდენ, რადგან უფრო ვაჭრებს ჰგვანან—ვაჭრებს, რომლებიც პარლამენტარულ ვაჭრობით ამნისტიას უნციობით იძლევიან და სიტყვის თავისუფლებას მისხლობით, და როდის ჩადიან ამას? მაშინ როდესაც ხალხს ისე სჭრიან თავს, როგორც ფხალს, როდესაც ენას აკვნეტინებენ და სიტყვას აკმენდიებენ ხალხს. რაც შეეხება პროგრამმას უნდა ვაღიაროთ რომ მართლა რომ ნათელი და მკაფიო პროგრამმა აქვთ.

სიტყვის თავისუფლება მშიერ მუცელზე; ერების ავტონომია ცენტრალისტური ბიუდჟეტით, უბიუდჟეტო ავტონომია; მშიერი გლეხების ჯიბით გამოსყიდული მიწები დამშეულ გლეხების აჯანყებული მუცლების გასაძღომათ; მინისტრების სახელების გამოცვლა; მოკლულთა და დატყვევებულების ჭირისუფლების მკვლელებად გადაქცევა; წვრილ კაპიტალისტურ მგლეჯელობის მსხვილ მძარცველობად გადაქცევა. მუშა ხალხის გაფიცვის უფლების უარყოფა და მსხვილ პარაზიტების ასსოციაციის გაძლიერება და სხვა-და-სხვა. პროგრამმა მართლა მკაფიოა ისე, როგორც თვით კადეტების ფიზიონომია.

„შრომის ჯგუფი“ მართლა „შრომის“ მომხრეა—ისეთი უკიდურესი შრომის, როგორც სიზიფის და ტანტალის შრომაა. ესეც ცხადია ისე, როგორც პარლამენტის ყველა „მშრომელთა“ ფიზიონომია: იმათ უნდათ იძულებითი მოწეს-რიგება მიწის მფლობელობის, ე. ი. მიწები იძულებით უნდა ჩამოერთვას მეტი მიწის პატრონებს და მიეცეს გლეხებს. მშვენიერი აზრია, მხოლოდ ცოტა ნაკლულევანება აქვს, ე. ი. განუხორციელებელია. ჩვენ წარმოგვიდგენია და მიმხვდარი ვართ, როდესაც იძულებით თვით მაიძულებელი სარგებლობს, მაგრამ ვერ მიმხვდარვართ და ვერც წარმოგვიდგენია, როდესაც იძულებით თვით მაიძულებელი კი არ სარგებლობს არამედ ის ვისაც აიძულებენ. უნდა აიძულოს მთავრობამ თავის თავი და მისცეს გლეხებს დასამუშავებლად ის მიწები, რომლებსაც მთავრობა და გაბატონებული კლასსი ძალით პატრონობს. თუ იძულებით უნდა დააკმაყოფილონ გლეხების მოთხოვნილება, მაშინ გლეხები უნდა აიძულებდენ თავის სასარგებლოდ, რადგან იძულებითი მფლობელობა მიწის უკვე არსებობს.

ამ გვარად ეს ორი პარტია დიდის გულმოდგინებით ცდილობენ დაანახვონ ერთი მეორეს სიბრმავე; ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ორივე ბრმებია.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ცდილობდენ დღემდი მწყობრად ეგალობათ თავიანთი პარლამენტალური გალობა, მაინც ვერ მიაღწიეს ამას ლა პარლამენტალურმა, სამთავრობო ხაჭაპურმა წაჰკიდა გუშინდელი მეგობრები.

А вы друзья, какъ ни садитесь все въ пѣвцы грядущаго соціализма не годитесь.

## ახალი ამბავი

ამ დღეებში, როგორც სოფ. ქარელიდან გვატყობინებენ ცნობილს გიორგი დარაჯს მოუკლავს ახალგაზრდა კაცი პეტრე ქელეიშვილი. დარაჯს სიკვდილი აღარ უკმარებია; მოკლულისათვის ტანისამოსი და ყოველივე, რაც კი გააჩნდა თან წაუღია.

ქელესაშვილი, როგორც გვატყობინებენ, რეაქციის შემდეგ მთავრობას ემალებოდა.

— 13 ივლისს თბილისის საოლქო სასამართოში დანიშნულია გასახილველად საქმე „სხივის“ რედაქტორის ვლ. ახმეტელაშვილისა, რომელსაც ბრალსა სდებენ მე-15 ნომერში მოთავსებული მეთაურის წერილისათვის.

— გენერალ-გუბერნატორის განკარგულობით დაიკეტა გაზეთები „პროგრესი“ და „ლამპარი“ დაბეჭდეს აგრეთვე სტამბა „ცისკარი“, რომელშიაც „პროგრესი“ იბეჭდებოდა.

— თბილისის ქალაქის გამგეობა შეუდგა შედგენას ჯარში გასაწვევის ყმაწვილი კაცების სიისას. სიაში შედიან მხოლოთ ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1

ოქტომბრის 1885 წ. და 1 ოქტ. 1886 წლის შუა, და ისინი რომელთაც უნდა ამოილონ კენჭი 1907 წ.

— როგორც შევიტყვეთ მოკლულის ,,ტიაგის'' უფროსის ადგილზე ნიშნავენ, მოკლულის თანაშემწეს; ინჟინერ ტეხნოლოგის, ყაზბეგს, რომელიც ეხლა მსახურებს გზათა სამინისტროს ტეხნიკურს განყოფილებაში.

— 1886 წელს კავკასიაში ჯარში გაყვანილ კანონების შემოღების დროს მოხდა საერთო აღწერა ხალხისა. მას შემდეგ უკვე განვლო 20 წელმა. ეს სია იყო დღემდის ერთათ ერთი საბუთი, რომლითაც ჯარში გაჰყავდათ ახალგაზდანი. დღეს შინაგან საქმეთა მინისტრი შეეკითხა ქალაქის გამგეობას შესაძლებელია თუ არა ის სიები შეივსოსო? თბილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო ეს წინადადება და დაადგინა, რომ ასეთი დამატებითი სიების შედგენა სასურველიც და შესაძლებელიცაა. ნამესტნიკის კანცელარიაში ასეთის პასუხით დაკმაყოფილდენ და შეუდგენ საქმის წარმოებას.

— 30 ივნისს ღამე ალექსანდროვის ქუჩაზე სასიკვდილოთ დასჭრეს მორიგე გოროდოვოი. დაჭრილი მიხეილოვის საავადმყოფოში წარადგინეს.

— უმუშაოთ დარჩენილთა ბიუროს მოსწყინდა გამგეობისაგან „ხვალ“ „ზეგის“ და ,,ახლო მომავალის'' სამუშაოს მიღებაზე შეპირება და 1 ივლისის კატეგორიული შეეკითხვა ქალაქის თავს: დაგვინიშნეთ ვადა, როცა მართლა უმუშაოთ დარჩენილ ინტელლიგენტთ მიეცემა სამუშაო. ქალაქის თავმა უპასუხა, რომ ორშაბათს 3 ივლის კრება უნდა იქნება ქალაქის გამგეობის რწმუნებულათ და ბიუროს წევრებს. ისინი შეიმუშავებენ მომავალი სამუშაოს პლანებს და დანიშნავენ დღეს, როცა შეუდგებიან სამუშაოს.

— მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს ქართული დრამატიული დასი ვ. გუნიასი და ვ. აბაშიძის მეთაურობით გამართავენ ქართულ წარმოდგენას ახლად აშენებულ ფუნიკულერის სცენაზე. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია ,,სიძე-სიმამრი''. სხვათა შორის ვინც წარმოდგენისათვის ბილეთს იყიდის იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ ფუნიკულერით. იმედია ამ საზოგადო წარმოდგენას ხალხი სიამოვნებით დაესწრება მით უფრო ფასები ხელ მისაწდომია.

— 1 ივლისს კრება აქვთ ქალაქის გამგეობას და თბილისის ბანკების წარმომადგენლებს. ამათ მოლაპარაკება აქვთ იმ 140,000 მ. სესხზე რომელიც გადადებულია საზოგადო საქმეების მოსაწყობათ.

— თფილისის მე-5 უბნის სახლის პატრონები და ბინადრები სთხოვეს ქალაქის გამგეობას იშუამდგომლოს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართონ მართონ მათ ქალაქის დარბაზში კრებები, რათა მოაწესრიგონ საქმეები მეეზოვების და დარაჯების შესახებ.

## რუსეთის ქრონიკა

—

სამარის გუბერნატორი დეპეშით აუწყებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ გლეხებმა მატვეევის სოფლისა სამარის გუბერნიისა გაუწიეს შეიარაღებითი წინააღმდეგობა ისპრავნიკ ნიკოლაევსკის და ბოქაულს პასტუხოვსკის, რომლებიც მიდიოდენ სახლის გასაჩხრეკათ და მავნე აგიტატორის დასაჭერათ ის ეტლი რომლითაც ისინი მიდიოდნენ გადაბრუნდა გამართულ ბარიკადებზე დაჯახების გამო. გამხეცებულმა ბრბომ მოკლა ბოქაული პასტუხოვსკი, ისპრავნიკს დაუშავდა ფეხი. ერთი ესაული და კაზაკი სუბუქად დაიჭრენ დილით დაუწყეს სროლა ხალხს, რომელიც იდგა ჯგუფად ბოქაულის გვამთან. მოკლულია 2 გლეხი გარდა აგიტატორისა დაჭერილ იქმნენ სასამართლოს განკარგულებით 24 კაცი, რომელთაც აბრალებენ დანაშაულობაში მონაწილეობის მიღებას.

—

სამხედრო სამინისტრომ გამოგზავნა კავკასიაში, პულემეტები, პატრონები და თოფები გაიგზავნა ცალკე მატარებლით.

(ნაშა ჟიზნ).

—

საცენზურო კომიტეტმა აკრძალა. ბროშურა „პური და თავისუფლება“.

(ნაშა ჟიზნ.).

—

შაბათს 10 ივნისს ტაშკენტის ტაძარში, მიიღეს ფიცი რამდენიმე ნაწილმა ამიერ-კასპიის საპიორთა ბატალიონმა, რამდენიმე კაცმა უარი განაცხადა ფიცის მიღებაზედ, რის გულისთვის გაგზავნილ იქმნენ გაუპტვახტაში. (ს.)

—

20 ივნისს, პირველ რანგის კრეისერ ,,ავრორასაგან'' გაგზავნეს კრონშტანდში, მეშვიდე ფლოტის ეკიპაჟში, მატროსები მიხეილ ივანოვი და მენშიკოვი „მარსელიო[...] —მღერის გულისათვის. (XX[...]

—

ყოფილ შინაგან მინისტრის ხანაგად ნამყოფმა თავადმა ურუ[...]მა, რომელმაც გამოაშკარავა პ[...]ცის დეპარტამენტის მოღვაწ[...] იმ დღიდგანვე, სიტყვის წარმოთ[...]თვის შემდეგ, პოლიცის დეპარ[...]მენტს დაეტყო ცვლილება. ფა[...] კანცელარიიდან შეუდგნენ ფე[...] მიღებას, და კარებზედ მიკრ[...] განცხადება, რომელზედაც ე[...] „ის პირები რომელნიც მსახურ[...] შინაგან საქმეთა სამინისტროში[...] არაფერი გამოკადებულობა არა[...] ფარულ კანცელარიასთან, შე[...]ლა აკრძალულია'' იმწამსვე მო[...] ცნობილი როტმისტრი კომისსარ[...] დათხოვნილ იქმნა სამსახური[...] მოხელე პირებს მიეცათ ერთი [...] ჯამაგირი. (სტრ.).

—

274 მეეზოვე, პეტერბურგის [...] დონაჩალნიკის მიერ დაჯარიმე[...] იქმნენ, ერთ მანეთიდგან დაწყ[...]ლი სამ მანეთამდე, რომელთაც [...] რაჯობის წესი დაარღვიეს. (მის[...]

—

შლისერბურგის ციხის გაუქმების [...]დეგ, დათხოვნილ იქმნა სამსახ[...]დგან ჰალაჩი, რომელმაც იმსახ[...] 25 წელიწადი. (მისლ).

## უცხოეთი.

—

**სპარსეთი.** ხალხში კვლავ იწყო მღელვარება. ყოველ [...] მოლები კათედრებიდან ყორან[...] ხელში იწვევენ ხალხს ემსახუ[...] თავისუფლების საქმეს. ხალხიც [...]სდებს, რომ არ უღალატებს მ[...]

# ფელეტონი

—

### დავიმსახურეთ დაცინვა?

იმ მოძრაობის შემდეგ, რომელიც გურიაში დაიწყო ამ ორი-სამი წლის წინად, როგორც ევროპამ ისე რუსეთმა ყურადღება მოგვაქცია. თუ ერთხან ევროპაში მთელ საქართველოში არსებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას სომხებს აწერდნენ, ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წელს ევროპამ გაიგო თუ ვინ აძლევდა საქართველოში რევოლიუციას ძალას და, ცოტა არ იყოს, დაინტერესდა ჩვენი ცხოვრებით. ამისათვის, როგორც რუსეთი ისე ევროპა მოელოდა ჩვენს დეპუტატებს... ამ დეპუტატების მიხედვით უნდოდათ დაეფასებიათ გონებრივი და კულტურული ძალა ქართველი ხალხისა. დღეს რუსეთმა და ევროპამ დაგვაფასა დაა... გვცნო გონებრივ და კულტურულ ძალ-მოკლებულ ხალხად. ცხადია, ეჭვს გარეშეა, რომ ამ გვარი დასკვნა საერთოა რუსეთში, თუმცა ყველა არ ამბობს ამას მკვახედ, რადგან ყველა არ არის მოკლებული ი. რამიშვილივით ,,ზრდილობიან აღზრდას''.

ჩვენ, ყველამ იცის, არ ვართ პარლამენტარისტები, ჩვენ არც „დუმისაგან“ და არც პარლამენტისაგან არ გამოველით ხალხის განმათავისუფლებელ და გასაბედნიერებელ მოქმედებას. ჩვენ გვწამს, რომ ცხოვრების განახლება შეუძლია მხოლოდ ხალხს თავის პირდაპირ იმოქმედებით და არა „დუმა“ პარლამენტით. ჩვენ, რადგან დუმა-პარლამენტს არაფრათ ვაფასებთ. კიდეც უნდა გაგვხარებოდა, რომ ,,დუმაში'' ყოვლად უნიჭო და უფასო ადამიანნი მოხვდნენ, მაგრამ არა, არ გვიხარია, რადგან, თუმცა ჩვენ ნაციონალისტები არ ვართ, მაგრამ ჩვენი ჩამომავლობა ხომ არ უნდა დავმალოთ? და აი ეხლა პეტერბურგში რომ ჩახვიდე დ გგკითხონ, რა ნაციისა ხარო, რა უნდა სთქვა? უნდა სთქვა რომ ქართველი ხარ, ის. რამიშვილის, წერეთლის. და ძმათა მათთა კომპატრიოტი? დარწმუნებული ვარ, რომ გააცხადო საზოგადოებაში ქართველი ვარო, ეჭვის თვალით შემოგხედავენ და გულშიც გაიფიქრებენ: ალბათ სულელი უნდა იყოსო. რადგან, თუ ქართველმა ხალხმა საუკეთესო წარმომადგენლებათ აქ ის. რამიშვილი, ჯაფარიძე, წერეთელი და სხვ. გამოგზავნა, რა უნდა იყვნენ ის არა უკეთესები, რომელნიც ხალხში დარჩნენო. კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ნაციონალისტი არა ვართ, მაგრამ არც რენეგატობასა ვცემთ პატივს, არც ის გვინდა, რომ გამონათლულ (выкрестъ) ებრაელსავით ჩვენი ხალხოსნობის ხსენება გვეშინოდეს, რადგან ესეც ისეთი სულგრძელობა იქნება, როგორც ნაციონალისტობა. ვთქვათ ქართველი ხართ. ამით ხომ უცხოელს, ისე როგორც რუსს ნებას აძლევთ თქვენ გონებრივ მდგომარეობას ეჭვის თვალით შემოხედოს? მაშ რა ვქნათ, რა წყალში ჩავარდეთ? ამ გამოუვალ მდგომარეობაში სოციალ დემოკრატიამ ჩაგვაგდო. აი ჯერჯერობით პრაქტიკული შედეგი მისი დიქტატურისა საქართველო[...]

ჩვენ სულ არ ვართ პარლ[...]ტარული მოქმედების მომხრე, [...] ვფიქრობთ, რომ ის ვისაც [...] რევოლიუციის მსახური უნდა [...]ჩეს ხალხში, გააღვიძოს მისი [...]ციატივა, მისი შეგნება, ჩაუნერ[...] სურვილი პირდაპირი მოქმედე[...] ერთი სიტყვით, გამოიყვანოს [...]ხი ისტორიულ მოქმედების და [...] მოქმედების ნიადაგზე. ასე ვფ[...]რობთ, ჩვენ იმისათვის, რომ [...]ტორია გვიმტკიცებს აუარებე[...] ფაქტებით, რომ კარგი და [...] სოციალური მნიშვნელობა მხოლ[...] იმას აქვს რასაც ხალხი თით[...] შეჰქნის და არა იმას რასაც ხა[...] დეპუტატები და მინისტრები [...]ძებენ. ჩვენ ასე ვფიქრობთ და [...]სათვის ჩვენ არ გვყოლია კანდ[...]ტები, არც არჩევნებში მონა[...]ლეობა მიგვიღია. მაგრამ თქვენ [...] პარლამენტი დიდ რამედ მიგაჩნ[...] თქვენი აზრით იქ ხომ დიდ[...]ლი და ისტორიული რამეები [...] მოხდეს? თქვენი აზრით ხომ ი[...]რიულად დიდებულია დეპუტ[...]

ნუ აღთქმას მტკიცე კანონების დასაწყისებლად. არეულობების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ქალაქში გამოაცხადა სამხედრო წესები. ყველა ქუჩები და მოედნები გავსებულია კაზაკებით, სალდათებით და ჟანდრებით. ათი საათის შემდეგ აკრძალულია სახლებიდან გამოსვლა. იმათ კი, ვინც 10 საათის შემდეგ გამოდის გარეთ, ატუსაღებენ ან და ჰკლავენ. გარნიზონის უფროსის ემირ—ბაგატურის მოსამსახურენი სძარცვავენ მცხოვრებლებს; ხალხს ისე სჯიან, რომ არსად გაგონილა. ხმები დადის რომ მთავრობას განუზრახავს დასჯოს მოლები, მაგრამ უკანასკნელებს მუქარის არ ეშინიათ. („ირშადი“.)

## კორრესპონდენცია.

დ. ჭიათურა. ხულიგანების მეთაურობა იკისრა ცნობილმა ანდრო ნიკოლოზის-ძე აიდაროვმა. ამ ვაჟბატონმა რეაქციის გამარჯვებით, თითქმის თავისი საცხოვრებელი შეაჭამა კაზაკთა აფიცრებს. ყოველ დღე ლხინი ქეიფი ქონდათ ჭიათურის ბუფეტში; როდესაც მახლობელ სოფელში ცეცხლის ალი მოჩანდა და ანადგურებდა მთელ სოფელს. იყო გაჩაღებული ღვინის სმა და მასთან ლოცვაც, აიღებდენ სტაქნით ღვინოს და გაიძახოდენ გაგვიმარჯოს ჩვენ, ძირს ერთობაო, გაუმარჯოს რეაქციას ძირს რევოლიუცია ასთე ლაღადებდენ ეს ვაჟბატონები. ცოტას რომ შეზარხოშდებოდენ ასწავლიდა ანდრო აფიცრებს იმ სახლებში ბარიშნებიანი მცხოვრები არისო, და თვითონ ვითომ მართალი თავის სახლში მიჩქაროდა. არა ერთხელ და ორჯელ დასხმიან აფიცრები მცხოვრებს მაგის ჩვენებით გასაპატიურებლად, მაგრამ მცხოვრებნიც მალავდენ ქალებს, და აფიცრები დამხთურს კაცს ასთე მიმართავდა; შენ ორი ქალი გყავს და ერთი ჩვენ გვყავდეს მეორე შენაო, ასე შიში ატყდა ამ ვაჟბატონის გმირობით ხალხს. აპრილის დამლევს გაიყვანეს ეს აფიცრები ჭიათურიდან და შეწუხდა ანდრო აიდაროვი. რა ექნა არ იცოდა ბოლოს შეუკავშირდა ბოქაულს და სთხოვა. ორი ყარაული მყავს ოსები, უსუფა ცაბილოვი და სანდრო გაბრიშვილი (თვითონ ოსი გახლავს). მიეცით სტრაჟნიკს ფორმა და იარაღი მე დამიცავს და კანტორასო. (აიდაროვი ძმათა ფორუდის მურავი არის) ბოქაულმა შეიწყნარა თხოვნა და იარაღი სტრაჟნკის ფორმით მისცა ზემოხსენებულ ყარაულებს. ამით გაოცებულმა აიდაროვმა კვლავ მიყო ხელი მუშების ყვლეფას და პიროვნების შელახვას, ისე არ დაურიგებს ფულს მუშებს რომ ორი სამი აბაზი არ დაატოვებინოს თავისი ჯიბის გასასქელად მუშები ერთმანეთს შესჩივლიან, აიდაროვმა ორი აბაზი დამაკლო და ორი იმდენიც მაგანაო. ეხლა როდესაც ხალხი ბობოქრობს და თავისუფლების დროშას აფრიალებს ეს გმირი ეგრე გაიძახის, მე ხალხის მხარეს ვიყავი და ვიქნებიო, არა ბატონო თქვენ ის ბრძანდებით, რაც თებერვალ-მარტის რიცხვებში ბძანდებოდი.

ზემოთ ვთქვით, რომ იარაღი ბოქაულმა მისცა ყარაულებსაო. ამ ვაჟბატონებმაც დიდი სახელი მოიპოვეს პოლიციურ სამსახურში, მასთან ცნობილი კოლია აბაშიძეს და მიხაკო ბარათაშვილს გადააჭარბეს. დღემდის ესენი ქადაგებდნენ თავისუფლების დრო გაფრინდა თავისუფლება აქვს მთავრობას და ერთგულება გამოუცხადეთ თორემ რაც დაგტანჯეს ის ჰაშნიკი იყო და მომავალს უფრთხილდითო, აი ამ ულღეურების წარმოთქმული სიტყვები. ეხლა გამოღვიძებიათ ცოტა და სთხოვს ხალხს დანაშაულებანი მომიტევეთო და მასთან დასძენს ჩვენ (ყარაულები) სტრაჟნიკის ფორმა იარაღი გვაქვს თორემ პოლიციასთან არაფერი კავშირი არ გვაქვს (ეს ვაჟბატონები დღემდის გაიძახოდენ პოლიციის უფლება გვაქვს ვისიც გვინდა დაჭერა ჩვენი საქმეაო) და პროფესიონალურ კავშირში მიგვიღეთო. არა ბატონებო არ გვჭირდება სტრაჟნიკები ჩვენ, შორს თქვენი სახელი ხულიგანებო, პროფესიონალურ კავშირში შევდივართ მებრძოლი თავისუფლებისა და შეურისმძიებელი მტარვალებისა.

კასკასო?

## წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

ჩვენ, მ. ლალიძის ქარხნის მუშები, მხურვალე პროტესტს ვუცხადებთ გაზეთ „ლამპრის“ რედაქციას, რომელიც ათავსებს თავის ფურცლებზე ყოვლად უშინაარსო და ლანძღვა-გინებით სავსე ვითომ და „პროტესტებს“. ჩვენ გვრწამს პოლემიკა და კრიტიკა მეცნიერულ და სიმართლის საფუძველზე აშენებული, და ისიც მხოლოდ სიმართლის გამოსარკვევად. რაც შეეხება ქუჩურ-ლანძღვა გინებას, მას არ უნდა ჰქონდეს ადგილი არსებაში. არც „მუშები“ იცავენ სავსებით ლიტერატურულ ეთიკას ლიტერატურულის კილოთი, მაგრამ ჩვენ მათი გამტყუნება არ შეგვიძლია (თუმცა ისინიც არიან სიყვარულის ღირსი), რადგან ჩვენი სოც.-დემოკრატები ლანძღვა-გინებაში დაიბადნენ და ლანძღვა-გინებაშივე ბერდებიან. საბუთი გნებავს? გადაათვალიერეთ „კვალიდან“ დაწყებული უკანასკნელ „ლამპრამდე“ და გარდა ავლაბრულ ლანძღვა-გინებისა და ტაკი-მასხარაობისა, მათში ერთ მეცნიერულ, სერიოზულ წერილს ვერ ნახავთ-„მუშები“ არ იყვნენ დღემდის, მაგრამ სოც.-დემოკრატებს სხვა მათი იდეურ მოწინააღმდეგების წინააღმდეგ იარაღი მხოლოდ ლანძღვა-გინება იყო. სხვები გაჩუმებულიყვნენ და მხოლოდ იტყოდნენ ხოლმე, რომ მაგენთან (სოც.-დემ.) სერიოზული ლაპარაკი შეუძლებელიაო. ერთს ჩვენთაგანს 1896 წლის „კვალსა“ და „ივერიას“ შორის ატეხილი დავაც ახსოვს იმის შესახებ, თუ რომელი ორგანო უფრო მეტს ილანძღებაო. როცა გამოირკვა, რომ „კვალს“ ამაში უუპირველესობა ეკუთვნოდა. არ ვამტყუნებთ „მუშელებს“ უფრო იმიტომ, რომ სოც.-დემოკრატებმა ისინი ყაჩაღებად, მძარცველებად და სხვა ამგვარი სახელებით მონათლეს, თუ „შემუშავებულს“ მათთვის საამისო მიზეზი არ მიუციათ. არ ვამტყუნებთ კიდევ იმიტომ, რომ „მუშელები“ უფრო იცავენ მშრომელი ხალხის ინტერესებს, ვინემ სოც.-დემოკრატები, რამდენადაც ჩვენ ამას ვხედავთ ორივესი მოძღვრების და მოქმედების ერთმანეთთან შედარებით. ჩვენ არ ვჩემულობთ, რომ ანარქისტების მოძღვრება ზედ-მიწევნით გვქონდეს

---

მისსია? მერე ვინ აირჩიეთ ამ დიდებული მისსიების აღსასრულებლად? ქვეყანას რომ აწუხებთ განუწყვეტელი ღრიალით, მეცნიერები ვართ, მცოდნენი ვართ, ჩვენ ვართ საუკეთესო ნაწილი ხალხისა, ჩვენ ვართ მარილი ხალხისაო; კაცს ლაპარაკების ნებას რომ არ აძლევთ, ჩვენ ხელშია ჭეშმარიტება, ჩვენ, მარტო ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ; ტუკებით, დანებით და თოფებით რომ ხალხთან არავის უშვებდით, ჩვენს მეტმა არავინ არი უნდა ელაპარაკოს ხალხსაო, რა ქენით, როცა ეს ხალხი თქვენ მიერ დაშინებული და დაბეჩავებული მართლა ჩაიგდეთ ხელში და გაიხადეთ მონათ? ერთი კაცი ველარ იშოვნეთ, რომ ეს ხალხი ღირსეულად წარმოგედგინათ, ვერ მოახერხეთ, უკულტურობის და უნიჭობის დეპუტაცია არ მოგეხვეჭათ იმ ხალხისათვის, რომლისთვის სამსახური და მოქმედება თქვენ მონოპოლიათ გახადეთ? თუ ერთი კაცი არ გაგაჩნდათ, თუ არავითარი გონებრივი, სამეცნიერო და ორატორული ძალა არ გაგაჩნდათ, რას ატყუებდით ხალხს, არა უსათუოდ ჩვენ უნდა გაცხონოთ და გაცხონებთ კიდეცო. აბა, ფანატიზმით გონება დახშობილო ამომრჩევლებო იფიქრეთ, ვინ იცანით საუკეთესო პირებად, ვინ გააგზავნეთ თქვენ წარმომადგენლებათ? ერთი კაციც არ ურევია თქვენ ამორჩეულებში ისეთი, რომელსაც შეეძლოს რამე ნიჭისა და ძალის გამოჩენა. ყველა უვარგისი: ზოგი ენა ბლუკუნა, რომელსაც ლაპარაკის მაგიერ სუსტი ყეფა და ნერწყვის ყლაპვა შეუძლია; ზოგი უვიცი, ისე უვიცი რომ მეტი აღარ იქნება? დღეს თუ დაგვცინიან ღირსიცა ვართ. რადგან დავაჯაბნებინეთ თავი სოციალ-დემოკრატიას და მისი გავლენით ის ჩავიდინეთ რასაც უმისოთ, უეჭველია არ ვიზამდით. დიახ, სიმხდალე და გონებრივი სისუსტე გამოიჩინა ჩვენი ხალხის ერთმა ნაწილმა, რადგან სოციალ-დემოკრატი არ იყო და შიშით სოციალ - დემოკრატობას იჩემებდა. თავის რწმენის დამალვაზე უფრო დიდი სილაჩრე არც კი არსებობს და სწორედ ეს სილაჩრე ჩაიდინა ჩვენი ხალხის ერთმა ნაწილმა. ვიცი, ეხლა ამას რომ წაიკითხავენ სოციალდემოკრატები ერთ აურ-ზაურს ასტეხენ: ანარქისტები ხალხს ლანძღვას უბედავენო. არა, ჩვენს ხალხს არაოდეს არ გავლანძღავთ, მაგრამ ჩვენ ხალხი თქვენი სიყვარულითაც არ გვიყვარს. თქვენ ხალხი იმისათვის გიყვართ, რომ გინდათ ის თქვენთვის გამოიყენოთ, გინდათ ამ სიყვარულით მოიყიდოთ ის და ის აქნევინოთ რაც თქვენთვის და არა მისთვის არის უკეთესი; თქვენი ხალხის სიყვარული ანგარებით სავსე დემაგოგიაა.

ჩვენ კი ხალხი იმისათვის გვიყვარს, რომ დარწმუნებული ვართ, თუ ის კარგად იქნება ჩვენც კარგად ვიქნებით, ჩვენ ხალხი იმისათვის გვიყვარს, რომ მისი ინტერესები ჩვენ ინტერესებად მიგვაჩნია, კიდევ იმისათვის, რომ მასში და არა თქვენში ვხედავთ წინამსვლელობის ძლიერ ფაქტებს. ჩვენ არ გვინდა ხალხი ვიმსახუროთ და მოვიხმაროთ, როგორც თქვენ. ჩვენ გვინდა ხალხს ვემსახუროთ და მოვეხმაროთ. ჩვენ თქვენსავით ამ სამსახურის ზღვევას (მანდატებს, დეპუტატობას) არ ვსთხოვთ ხალხს. სოციალდემოკრატია და ხალხი ერთი და იგივე არ არის, როგორც ეს ზოგიერთ სულელსა ჰგონია. პირიქით სოციალ-დემოკრატია ჩვენ მიგვაჩნია ისეთ პარტიად, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს და არა ხალხის ინტერესებს ემსახურება და ამისათვის, მხოლოდ ამისათვის ვებრძვით ჩვენ მას. ჩვენი პრაქტიკული მიზანია, ჩვენში ისეთი პარტიის შექმნა, რომელიც მაშვრალი ხალხის და მხოლოდ მაშვრალი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდეს. ამ ნაირი პარტიის შექნა ისტორიული მოთხოვნილებაა და ამისათვის გვწამს, რომ დღეს თუ ჩვენ ცოტანი ვართ,-მომავალი ჩვენია.

კ. ი—ი.

შესწავლილი, არამედ ვამბობთ ,,რამდენადაც ჩვენ ვიცით'', ხოლო სოც.-დემოკრატების მოძღვრება შეიძლება ბევრ ყოყოჩა სოც.-დემოკრატებზე ნაკლებ არ ვიცოდეთ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი ჩვენთაგანი გვარიან ხანს იყო სოც.-დემოკრატების ბანაკში, მაგრამ, რა დავინახეთ, რომ სოც.-დემოკრატები ვერ იცავდნენ როგორც პროგრამმით, ისე მისი ცხოვრებაში განხორციელებით მუშის ინტერესებს, ამიტომ ჩვენ უკეთეს ბანაკში გადავედით. სოც.-დემოკრატებს უნდოდათ, რომ სხვები ეგინებიათ, ელანძღათ და ებატონათ მათზე, როგორც ისინი უფრო მისდევენ, ხოლო მაგიერი ხმა არავის აღარ ამოეღო და ამ ნაირად ეფარფაშნათ, მაგრამ მოსტყუვდნენ, რადგან მოწინააღმდეგეს თუ არ ეომე იმავე იარაღით (თუ არ მეტით), რითაც იგი გეომება, მოწინააღმდეგე სულ თავს მოვა ასე მოუვიდათ სოც.-დემოკრატებს. რომ არ გადაეჭარბათ მათთვის ანირქისტებს, სოც.-დემოკრატები თავიანთ ლანძღვა-გინების გუდას თავს არ მოუკრავდნენ; ახლა კი მეტი რა გზა აქვთ რომ არ ჩაჩუმდნენ. სხვაზეც რომ არაფერი ვსთქვათ, გულ ასამღვრევი, სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ჰკითხულობ გაზეთში, პროტესტის სახით გაზეთს სახელი გამოუცვალოთ ხოლო უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ გვარ წერილებზე ქვეით მუშებს უწერიათ ხელი (თუმცა ჩვენ ძლიერ ვეჭვეობთ, რომ ამ გვარი ,,პროტესტების'' ავტორები მუშები იყვნენ და ნამეტურ შეგნებულები, ხოლო არიან მუშები პროვოკატორები, ხულიგანები, ჯაშუშები, შეგნებული და სოციალისტები). ლამპარმა თავისი ფურცლები, შეიძლება თავის და უნებურად, პროტესტის მაგიერ პროვოკაციაა ,,ლამპრის'' რედაქციის მხრით ის წერილები, სადაც ანარქისტებს ყაჩაღებსა და მძარცველებს უწოდებს; პროვოკაცია ,,ლამპრის'' მხრით, როცა ,,ლამპრისტები'' ნაცვლად იმისა, რომ აუხსნან მუშებს, რომ ამ გვარი წერილების მოთავსება მუშებისაგან შეუწყნარებელია, ისინი პირიქით ეძებენ ხელის მომწერლებს ამ გვარ უშინაარსო პროტესტებზე. პროვოკაციაა ყველაფერი ეს იმიტომ რომ ამგვარ მოქმედებამ შეიძლება სხვადასხვა პარტიის მუშები ერთმანეთს დაატაკოს და სასირცხვილო სომეხ-თათართა შეტაკება შინაურობაში აღმოცენდეს, რომლის ნიშნებიც არა ერთი და ორი ყოფილა.

დასასრულ, ჩვენ ვავალებთ ანარქისტ-კომმუნისტებს (რა საკვირველია, ლანძღვა-გინების გარეშე, თუ კი დაწყებები მიატოვებს). ახადონ ფარდა ბურჟუაზიულ პარტიებს, ვინც უნდა იყოს იგი და დაგვანახონ მათი ფიზიონომია რითაც დიდ სარგებლობას მოგვიტანს მუშებს. ხოლო სიბრალულს და თანაც თანაგრძნობას უცხადებთ იმ მუშებს, რომლებიც ჩაუგდიათ თავიანთ ბრჭყალებში ბურჟუა-მონოპოლისტებს და თავის დასაცველ ბრმა იარაღად გაუხდიათ; აქეზებენ რა მათ ანარქისტების წინააღმდეგ გაზეთის სახელის გამოცვლის. მოთხოვნით, ძალ-დატანებით „პროტესტებზე“ ხელის-მოწერინებით და თითქმის იარაღითაც კი. აი რისთვის აკარგვინებენ დროსა და ენერგიას ჩვენს ამხანაგ მუშებს ეს ბურჟუა-მონოპოლისტები. კმარა ბ. ბ. სოც.-დემ. ლიდერებო! გვაკმარეთ ამდენი ლანძღვა-გინებითა და პროვოკაციით კვება! ყოველი შეგნებული მუშა წინააღმდეგია ბატონობისა და მონოპოლიის. ჩვენ თვითონ შეგვიძლია უპატრონოთ დავიცვათ ჩვენი და ჩვენი ამხანაგების ინტერესები, უბატონოდ და უბურჟუოდ ქუჩაში, იარაღით ხელში. ჩვენ კარგად გვესმის რომ „მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა“. ამხანაგო მუშებო! მოგიწოდებთ შეგნებულად სამუშაოდ; დაუკვირდით თქვენს მოქმედებას; ნუ აგაღელვებთ აგიტაცია თქვენი დამცველების წინააღმდეგ. გაეცანით ყველა მოძღვრებას და ისე მიეკედლეთ ამა თუ იმ პარტიას ან ჯგუფს. ნუ გაცდენსთ რეკლამები: „მუშათა პარტია“ და სხვა ამგვარები! ამხანაგებო! სტყუვდებით თქვენს მოქმედებაში! ბიუროკრატიასაც ხომ ეს უნდა, რომ განძეოს ნამდვილი სოციალისტები და ჩაუვარდეთ ხელში „კადეტებს'', უშაკოვებს, ზუბასტოვებს და სხვა ამგვარებს! გახსოვდეთ, რომ მომავალი ისტორია დაჰგმობს და სასტიკ მსჯავრს დასდებს თქვენს მოქმედებას. აბა გადაათვალიერეთ ვიტტესა და დურნოვოს ცირკულიარები, თუ შეხვდეთ სადმე ამ გვარ რამეს, როგორც გაზეთის სახელის გამოცვლაა! თქვენი ლიდერები კი დაჟინებით მოგათხოვინებენ გაზეთისახელის გამოცვლას. ვაშა, პალმებო, ვაშა გრინგმუტებო, ვაშა კრუშევანებო, რომლებთაგან არც ერთი არ ჩამოუვარდება „ლამპრისტებს“; მაშასადამე, ვაშა, თქვენც „ლამპრისტებო“, პროვოკაციისათვის! თუ კრუშევანმა დააწიოკებინეს ურიები ხულიგანებს, არც ,,ლამპრისტები'' გვპირდებიან ნაკლებს ანარქისტების წინააღმდეგ.

ჩვენ სასტიკ პროტესტს და ზიზღს ვუცხადებთ იმ ლიდერებს სოც.-დემოკრატიისას, რომელნიც ხელს უწყობენ ზემო ნახსენებ პროვოკაციას, რომ მით განხეთქილება ჩამოაგდონ მუშებ-შორის.

ლოდძის ქარხანის მუშების მონდობილობით ხელს ვაწერ მუშა ეფრემ იოსების ძე გოგორიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემს მოკლე პასუხს თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთის „მუშას'' მახლობელ ნომერში.

კორესპონდენტი გაზეთ ,,ლამპრისა'' ბ-ნი მიმინო ,,ლამპრის'' № 21-ში ცილსა მწამებდა ჯაშუშობაზე, რაზედაც მე უტყუარი საბუთები მოვსთხოვე. ბ-ნმა მიმინომ „ლამპრის“ № 30-შიუშველი „ბრალდება“ წამოაყენა, რომელიც რვა მუხლიდგან შესდგება და რომელიც ზოგი არაკებს ამბობს ჩემს ჯაშუშობაზე და ზოგიც თავიდგან ბოლომდე არის სასიზღარი და უსინიდისო ცილის წამება, გამოწვეული პირადის ანგარიშით. იმის მაგიერ, რომ მე განმათავისუფლებელ მოძრაობის მტერი ვარ, იგონებს ყველა იმ შემხვევებს, რომელიც მომხდარა ადამ და ევას დროს და არავითარი კავშირი არა აქვსთ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და ჩემს ჯაშუშობასთან.

ბრალდების თითოეულ მუხლზე მე დაუწერე სამართლიანი პასუხი მაგრამ გაზეთ „ლამპრის'' რედაქციამ დღემდის არ დამიბეჭდა, თუმცა კი ორი კვირის განმ ვლობაში ყოველ დღე მივდიოდი და ვთხოვდი დაბეჭვდასა ჩემის პასუხისასა, რომლიდგანაც რედაქციამ ნათლად დაინახა სიცრუე მიმინოსი. არ დაბეჭდა დაიტოვა უსამართლო კორესპონდენტი, რომელსაც ჯიბეში ჩაუდო ჩემი პასუხი და გაამგზავროს გულ-დაწყნარებული დუშეთისაკენ, სადაც თარეშობას გაიძახის სახელითა თვისითა რომ მე მეტრეველს ვაჩვენებ. მისი პასუხი აქ ჯიბეში მიდევს, რას გახდება და სხ..

ბტონო რედაქტორო! კარგათ იცით რაოდენ მძიმე და აუტანელი ადამიანისათვის ჯაშუშობის დაწამება და ყოვლად უმართებულოდ მისი პატიოსნებისა და სახელის საქვეყნოდ შებღალვა, ამიტომ გთხოვთ კაცთ მოყვარობის სახელისათვის თქვენი საშუალებით მომცეთ შეძლება გამოვიწვიო სამედიატორო სამართალში ბ. მიმინო, გაზეთ ,,ლამპრი' კორესპონდენტი.

ჩემის მხრივაც მედიატორებად ვასახელებ №№ და გიორგი ალექსის ძე გელაშვილსა.

ბ. მიმინო, ველი პასუხსა გაზეთისავე საშუალებით.

დუშეთის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი მეტრეველი.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

ჩ ე რ კ ა ს ი. სოფელ ლებედინში მიტინგი ჰქონდათ მუშებს, რომელსაც დაესწრო 4000 კაცი; მონაწილეობას იღებდნენ გლეხებიც. მოუსწრო გუნებმა და რაოდენიმე კაცი დაა[...]დეს. გლეხებმა მოითხოვეს იმათი თავისუფლება. დიდი არეულობა მოხდა. დაჭრილია ერთი ოფიცერი და მოკლულია ერთი სალდათი, ორი მძიმედ დაჭრილია. დაჭრილია აგრეთვე [...] გლეხი.

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. გაზ. ,, რეჩ[...] ცნობით შესახებ იმისა, რომ [...] ცეს ვითომ განაცხადებინოს სამ[...]ტროს მიერ სამსახურის თავის დან[...]ბა, ოფიციალურად უარყოფილია.

რ ა დ ო მ ი. მოკლეს ჟანდარმი[...] ნაშავე მიიმალა.

ი ა ლ ტ ა. გაიფიცნენ ქალაქის მუ[...]ბი, რომელნიც ფასის მომატებას თხ[...]ულობენ.

ს ა რ ა ტ ო ვ ი. სერდობის მაზრ[...] გლეხებმა სამრევლო სკოლის მასწ[...]ლებლის ჩაგონებით მოთიბეს მინდვრ[...]ბი, ჩაიგდეს ხელში საძოვრები რადგ[...]კოს ეკონომიაში.

ჩ ე რ კ ა ს ი. მოხდა შეტაკება გლ[...]ხებსა და ჯარის შორის. დაჭრილია [...] სალდათი და 16 გლეხი.

ვ ი ლ ნ ა. აგრარიული მოძრაობა და[...]წყო.

თ რ ი ო ლ ი. ზინოვიევის მამულ[...] ზვიანგინკაში, გლეხებმა მიუწ-მოუ[...]წეს კონტორა, დახიეს წიგნები [...] სცემეს კონტორშჩიკს. მცხოვრებ[...] დამშვიდნენ.

კ ო ვ ნ ა. გუშინ მობანავეებმა [...]ვეს წყალში გამზადებული ბომბი.

ტ ა მ ბ ო ვ ი. მიღებულია საშიშა [...]ბა საკაბრიკო სოფლის რასკაზოვ[...] წავიდა გუბერნატორი. გაგზავნ[...] დრაგუნები და ქვეითა ჯარი.

ვ ა რ შ ა ვ ა. ვენის ქუჩაზედ უცნ[...] პირებმა ესროლეს სამხედრო მოსამ[...] თლე შვეიგოფსკის, დაჭრილია მასი[...]ლი. გრიბნოის ქუჩაზედ გა[...] დვინის დუქანი.

—

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასამიძ[...]


# ახალი წიგნები

გამოვიდა ამ დღეებში და იყიდ[...] გაზ. „მუშის“ რედაქციაში:

1) მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა. სინდიკალიზმი. გ. თრგეიანისა, გამოცემა „კომმუნისა'' . . . . . ფასი 20

2) კომმუნიზმი და ანარქია. პ. კროპოტკინისა, გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . ფ. 15

3) საერთო გაფიცვის მეორე დღე, ა. ბურშესი, გამოცემა „ნობათისა'' . . . . . ფ. 10

4) მეამბოხის სიტყვები გამოც. ,,ინტერნაციონალისა''. . ფ. 5


ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.